სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების პოლიტიკა

ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილების პოლიტიკა

(„**პოლიტიკა**“)

მუხლი 1

წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ფონდის თანამშრომელი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში“ („**ფონდი**“) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი, ფონდის დირექტორი და იმ შვილობილი კომპანიების დირექტორები, რომელთა აქციების/წილების 100%-ს ფლობს ფონდი;

ბ) **ინტერესთა შეუთავსებლობა** - ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება ფონდის ინტერესებთან;

გ) **ფონდის თანამშრომელთან დაკავშირებული პირი** - ფონდის თანამშრომლის მეუღლე, შვილები, გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი, მშობლები, და-ძმა, მშობლისა და შვილის გერები, მეუღლის და-ძმა, მეუღლის მშობლები, აგრეთვე, სხვა პირი, რომელთანაც ფონდის თანამშრომელს აქვს ერთიანი საოჯახო მეურნეობა (შინამეურნეობა), ანუ ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

მუხლი 2

1. ფონდის თანამშრომელს არ აქვს უფლება შესთავაზოს ან მიიღოს სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში“ მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

2. ფონდის თანამშრომელი ვალდებულია:

ა) ყურადღება გაამახვილოს ნებისმიერ არსებულ თუ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობაზე;

ბ) მიიღოს ზომები ინტერესთა შეუთავსებლობის ნებისმიერი შემთხვევის დაუშვებლობისათვის;

გ) განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნამდე/არჩევამდე ან დანიშვნის/არჩევის შემდეგ, როგორც კი მისთვის ცნობილი გახდება ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტი.

3. ფონდის თანამშრომელი ვალდებულია შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნიდან/არჩევიდან 1 თვის ვადაში, ხოლო შემდგომ – ყოველი მომდევნო კალენდარული წლის 1 თებერვლამდე,

განაცხადოს მასთან დაკავშირებული იმ პირის შესახებ, რომელიც მუშაობს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდში“. ფონდის თანამშრომლის სათანადო წერილობითი განცხადება, რომელშიც მითითებულია მასთან დაკავშირებული პირის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და მათი კავშირის ამსახველი ინფორმაცია, წარედგინება ფონდის ადმინისტრაციას.

მუხლი 3

1. ფონდის თანამშრომელს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის ან მომსახურების მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.

2. თუ გაურკვეველია, აქვს თუ არა ფონდის თანამშრომელს შეთავაზებული საჩუქრის ან ნებისმიერი სარგებლის მიღების უფლება ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლება, იგი ვალდებულია ამის შესახებ განაცხადოს.

3. ფონდის თანამშრომლისთვის წინამდებარე აქტით აკრძალული სარგებლის შეთავაზების შემთხვევაში იგი ვალდებულია:

ა) არ მიიღოს ასეთი სარგებელი, ხოლო შეთავაზების შესახებ 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს თავის უშუალო ხელმძღვანელს;

ბ) შეეცადოს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელმაც ასეთი წინადადება შესთავაზა;

გ) შეზღუდოს იმ პირთან კონტაქტი, რომელმაც ასეთი წინადადება შესთავაზა, და შეეცადოს მისი შეთავაზების საფუძვლის დადგენას.

4. ფონდის თანამშრომელი ვალდებულია ფონდის სხვა თანამშრომლის მიერ ნებისმიერი დანაშაულებრივი ან სხვა უკანონო ქმედების ჩადენის შესახებ მტკიცებულების ან საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში შეტყობინებით ამხილოს იგი.